ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4928035

ნომერი: AR1740715

თარიღი : 17.03.2020

გაცემის თარიღი : 24.04.2020

გაცნობის თარიღი : 24.04.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი საარბრუკენი;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბექარ ჯობაძე პ/ნ 01030028485
- ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-2 მ/რ, კვ.1, კორპ. 6, ბ.23

ორგანიზაცია:
- შპს "მაგთიკომი" კოდი: 204876606

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი-ჩუღურეთი) საარბრიუკენის მოედანი, შ.პ.ს. „ჯი ემ თი სასტუმროები“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.N 01.16.05.035.001) არსებულ შენობაზე შპს "მაგთიკომის" ანტენის მონტაჟს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 882019676795, 21/08/2019 წ. საკადასტრო კოდი №01.16.05.035.001, ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 12 მარტის N000102 დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, 2016 წლის 16 მარტის ქირავნობის ხელშეკრულება, 2020 წლის 05 თებერვლის მინდობილობა; .ქ. თბილისის უნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომის ოქმი N11, 08.04.2020 წ ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, (სექტორი-ჩუღურეთი) საარბრიუკენის მოედანი, შ.პ.ს. „ჯი ემ თი სასტუმროები“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.N 01.16.05.035.001) არსებულ შენობაზე შპს "მაგთიკომის" ანტენის მონტაჟის შესაძლებლობას.

- დაცული იქნას პროექტში / ჰიგიენურ დასკვნაში გათვალისწინებული პირობები და შესაბამისი უსაფრთხოების ნორმები.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან 1 წელი.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.